დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 59 08
27/09/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლისათვის ” უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე და მე-6-ე პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლას, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გათბობის ქვაბი ,,ariston”-ი საბალანსო ღირებულებით 1295 (ერთიათასორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, ბოილერი ,,Atlantic“-ი საბალანსო ღირებულებით 1500 (ერთიათასხუთასი) ლარი და პერსონალური კომპიუტერის მონიტორი (LG ფირმის, საინ.ნომერი მ-21220122) საბალანსო ღირებულებით 315 (სამასთხუთმეტი) ლარი,
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე